საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3490
15/07/2022

3490-21-2-202207151021

შპს „თენგო-2000“-ს
შპს „BC Group“-ს
ელ. ფოსტა: tengo2000vale@gmail.com
ელ. ფოსტა: Makich62@mail.ru

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა №3080, №3199 და №3202 განცხადებები, რომლებიც ეხება ახალციხის მუნიციპალიტეტში, ქ. ვალეში შპს „თენგო-2000“-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

მიმდინარე წლის 7 ივლისს, შპს „თენგო-2000“-ის მიერ, სააგენტოში წარმოდგენილი იქნა №3080 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ახალციხის მუნიციპალიტეტში, ქ. ვალეში, შპს „თენგო-2000“-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას. ვინაიდან, წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება არ მოიცავდა shp-ფაილებს, მიმდინარე წლის 13 ივლისს შპს „BC Group“-ის მიერ სააგენტოში, №3199 და №3202 განცხადებებით, წარმოდგენილი იქნა შპს „თენგო-2000“-ის ცემენტის საწარმოს shp-ფაილები.

გაცნობებთ, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სააგენტოში სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ ან წარმოდგენილ განცხადებას თან უნდა ერთოდეს შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთან, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის, მე-4 ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო